№2135 2013 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

„შპს „საქაერონავიგაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის №1959 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „შპს „საქაერონავიგაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის №1959 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნ-ქტის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქაერონავიგაციის” (ს/კ 208144051) სამეთვალყურეო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

დ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე.”.

2. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**